<u>პროექტი</u> 6 მაისი

საქართველოს მთავრობის
დადგენილება N...

2025 წლის ..... ქ. თბილისი

ხორბლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის

დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული "**ხორბლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი**".

მუხლი 2.

1. დადგენილება, გარდა დადგენილებით განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს 2026 წლის 1 ნოემბრიდან.
2. დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2031 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

ხორბლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ხორბლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი (შემდგომ - ტექნიკური რეგლამენტი) ადგენს მოთხოვნებს ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის განკუთვნილი ხორბლის (Triticum aestivum L.,) სხვადასხვა ჯიშების (შემდგომში - ხორბალი) და მაგარი ხორბლის (Triticum durum Desf.,) მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ მათი ბაზარზე განთავსების, ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის მიმოქცევის პირობებს.

მუხლი 2. მიზანი და რეგულირების სფერო

1. ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს ხორბლის იმპორტის, ბაზარზე განთავსების და ექსპორტის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

2. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს:

ა) ტერმინთა განმარტებებს;

ბ) მოთხოვნებს ხორბლის და მაგარი ხორბლის მიმართ;

გ) ჰიგიენის მოთხოვნებს ბიზნესოპერატორის მიმართ;

დ) ხორბლის და მაგარი ხორბლის ბაზარზე განთავსების პირობებს;

ე) ხორბლის და მაგარი ხორბლის შესაბამისობის კონტროლის პროცედურებს.

მუხლი 3. რეგულირების ობიექტი

1. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ხორბლის (Triticum aestivum L.,) სხვადასხვა ჯიშებზე (შემდგომში - ხორბალი) და მაგარ ხორბალზე (Triticum durum Desf.,), რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის.

2. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება:

ა) ოჯახური წარმოების სუბიექტზე, რომელიც ხორბალს ან/და მაგარ ხორბალს აწარმოებს პირადი მოხმარების მიზნით;

ბ) არასასურსათო დანიშნულების ხორბალზე და არასასურსათო დანიშნულების მაგარ ხორბალზე;

გ) წითელმარცვალა მაგარ ხორბალზე;

3. ამ მუხლის მე-2 პუქნტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ოჯახური წარმოების სუბიექტზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფიტოსანიტარიული კონტროლი.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დამტვრეული/დამსხვრეული მარცვალი - მარცვალი, რომლის ენდოსპერმი ნაწილობრივ არ არის დაფარული, ასევე მარცვალი, რომელიც დაზიანდა მოსავლის აღების დროს;

ბ) სხვა მინარევი - არაორგანული და ორგანული მინარევი, გარდა ხორბლის მარცვლის, ხორბლის დამტვრეული/დამსხვრეული მარცვლის, სხვა მარცვლოვანი კულტურების და მათი ნარჩენებისა;

გ) სხვა ორგანული მინარევი - ორგანული კომპონენტები გარდა სასურსათო მარცვლოვნებისა. მათ მიეკუთვნებათ სხვა მარცვლოვანი კულტურების თესლები, ასევე ღეროები, ღეროების ნაწილები, ფოთოლი, ფოთლის ნაწილები და ვეგეტაციური ორგანოების სხვა ნაწილები;

დ) სხვა არაორგანული მინარევი - ნებისმიერი არაორგანული კომპონენტი, მათ შორის კენჭები, მტვერი, მიწის კოშტები და სხვ;

ე) კონტამინანტი - ცხოველური წარმოშობის მინარევი (მათ შორის, მკვდარი მწერები);

ვ) მავნებლებით დაზიანება - მარცვლის თაგვის, სხვა მღრღნელების, მწერების, ტკიპების და სხვა მავნებლებით დაზიანება;

ზ) ხორბლის/ მაგარი ხორბლის გაუსნებოვნება - მიკროორგანიზმებისა და მავნებელების განადგურების მიზნით მარცვლის ქიმიური, ფიზიკური ან რადიაციული მეთოდებით დამუშავება;

თ) უცხო სუნი - სუნი, რომელიც არ ახასიათებს ხორბალს ან/და მაგარ ხორბალს და რომელიც წარმოიქმნება სხვა, უცხო ნივთიერებების აბსორბციით, მარცვლის არასწორად შენახვის, ტრანსპორტირებისა ან/და შეფუთვის დროს;

ი) სედიმენტაციის ინდექსი - ხორბლისაგან ან/და მაგარი ხორბლისაგან მიღებული ფქვილის ნალექის მოცულობის რიცხვითი მნიშვნელობა, რომელიც მიიღება ფქვილის რძის მჟავასა და პროპანოლ-2-ის (იზოპროპილის სპირტის) ნარევის ხსნარში მოთავსებისას (ISO 5529:2007. Preview Wheat - Determination of the sedimentation index - Zeleny test);

კ) გაღივებული მარცვალი - მარცვალი, რომელზეც შეუიარაღებელი თვალით მოჩანს ჩანასახი ან პირველადი კვირტი;

ლ) შხამიანი მცენარის მარცვალი - მარცვალი, რომელიც ტოქსიკურია ადამიანისა და ცხოველისათვის, და, რომელთა არსებობა ართულებს მარცვლოვნების გაწმენდა-გასუფთავებას;

მ) დაზიანებული მარცვალი - მარცვალი, რომლის გამოყენება ლპობის, დაობების ან ბაქტერიული დასნებოვნების ან სხვა მიზიეზების გამო ადამიანისათვის სურსათად დაუშვებელია;

ნ) ელევატორი - მარცვლეულის განთავსებისათვის განკუთვნილი სპეციალური ნაგებობა, რომელიც აღჭურვილია ასაწევი, გადასატანი, გასანიავებელი, გასაშრობი და სხვ. მოწყობილობებით;

ო) GAFTA (Grain and Feed Trade Association) - მარცვლოვნებისა და საფურაჟე მარცვლოვანი კულტურების ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაცია;

პ) ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია - ტექნიკური რეგლამენტი, რეგულაცია, დირექტივა, დეკლარირებული სტანდარტი, ტექნიკური პირობები, ტექნიკური ინსტრუქცია და სხვ, რომელსაც მწარმოებელი იყენებს და რომლის გამოყენების შესახებაც მიუთითებს;

ჟ) ბაზარზე განთავსება - საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლის და მაგარი ხორბლის რეალიზაციის მიზნით განთავსება, მათ შორის გაყიდვის ან სხვა ფორმით გადაცემის შეთავაზება, სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიწოდება, რეალიზაცია, დისტრიბუცია და სხვა ფორმით მიწოდება.

2. ამ წესის მიზნებისათვის გამოიყენება ასევე „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის და „ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 დადგენილებით და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 5. ხორბლის და მაგარი ხორბლის ბაზარზე განთავსების პირობები

1. ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის განკუთვნილი ხორბალი და მაგარი ხორბალი უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. ბაზარზე განთავსებული ხორბალი და მაგარი ხორბალი ეტიკეტირებული უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის N301 დადგენილების - ტექნიკური რეგლამენტი „მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი“-თ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

3. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა, ხორბლის და მაგარი ხორბლის ეტიკეტი უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) ხორბლის ან მაგარი ხორბლის დასახელება;

ბ) მოსავლის აღების წელი;

გ) მწარმოებლის დასახელება;

დ) იმპორტიორის დასახელება (არსებობის შემთხვევაში);

ე) მასა/წონა;

ვ) შენახვის პირობები;

მუხლი 6. მოთხოვნები რეგულირების ობიექტის მიმართ

1. ხორბლის და მაგარი ხორბლის მიმართ ზოგადი მოთხოვნებია:

ა) ხორბალი და მაგარი ხორბალი უნდა იყოს ჯანსაღი, სუფთა, ხარისხიანი, არ უნდა ჰქონდეს თვითჩახურების, ობის და სხვა უცხო სუნი, რაც მიუთითებს მის გაფუჭებაზე;

ბ) ხორბალს და მაგარ ხორბალს არ უნდა ჰქონდეს უცხო გემო და არ უნდა შეიცავდეს ცოცხალ მწერებს, მათ შორის ზრდა-განვითარების ნებისმიერ სტადიაზე მყოფ პარაზიტებს;

გ) ხორბლის და მაგარი ხორბლის მარცვლის ფერი უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული ჯიშისთვის დამახასიათებელ შეფერილობას.

2. ხორბლის და მაგარი ხორბლის მიმართ სპეციფიური მოთხოვნებია:

ა) ხორბლის და მაგარი ხორბლის სინესტის მასური წილის (ტენიანობა) მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 14,5 %-ს;

ბ) ჭვავის რქის (სოკო *Claviceps purpurea*) სკლეროციუმის შემცველობის მაქსიმალური რაოდენობა, ხორბალში და მაგარ ხორბალში, არ უნდა აღემატებოდეს 0,05%-ს;

გ)ხორბალი და მაგარი ხორბალი არ უნდა შეიცავდეს სარეველა მცენარეების, მათ შორის: კროტოლარიის *(Crotolaria spp.),* ჭიოტას (*Agrostemma githago L.,),* აბუსალათინის *(Ricinus communis)*, ლემას *(Datura spp.)* ასევე სხვა შხამიანი მარცვლოვანი მცენარეების თესლებს და სხვა სარეველა მცენარეების ორგანულ მინარევებს, იმ რაოდენობით, რომელიც რისკს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას;

დ) ხორბალი და მაგარი ხორბალი არ უნდა შეიცავდეს კონტამინანტს ანუ ცხოველური წარმოშობის მინარევს (მათ შორის, მკვდარ მწერებს), იმ რაოდენობით, რომელიც შესაძლოა რისკს უქმნიდეს ადამიანის ჯანმრთელობას და მისი მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 0,1 %-ს;

ე) ხორბალში და მაგარ ხორბალში სხვა ორგანული მინარევების მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1,5%-ს;

ვ) ხორბალში და მაგარ ხორბალში სხვა არაორგანულ მინარევების მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 0,05%-ს;

ზ) ხორბლისათვის დაზიანებული და დამტვრეული/დამსხვრეული მარცვლის მაქსიმალური რაოდენობა, 1,7 მმ ზომის უჯრედების და 20 მმ დიამეტრის მქონე ლითონის საცერზე გაცრისას, არ უნდა აღემატებოდეს 5,0 %-ს;

თ) მაგარი ხორბლისათვის დაზიანებული და დამტვრეული/დამსხვრეული მარცვლის მაქსიმალური რაოდენობა 1,9 მმ ზომის უჯრედების და 20 მმ დიამეტრის მქონე ლითონის საცერზე გაცრისას არ უნდა აღემატებოდეს 6,0 %-ს;

ი) ხორბალში სხვა სასურსათო მარცვლოვანი კულტურების შემცველობა, გარდა ხორბლისა და მაგარი ხორბლისა (მთლიანი ან დამტვრეული), არ უნდა აღემატებოდეს 2,0%-ს;

კ) მაგარ ხორბლში სხვა სასურსათო მარცვლოვანი კულტურების მარცვლის შემცველობა, გარდა ხორბლისა და მაგარი ხორბლისა (მთლიანი ან დამტვრეული), არ უნდა აღემატებოდეს 3,0%-ს;

ლ) შრობის დროს ჩახურებული მარცვლის რაოდენობა, ხორბლისათვის და მაგარი ხორბლისათვის არ უნდა აღემატებოდეს 0,05%-ს;

მ) დაზიანებული მარცვლის მაქსიმალური რაოდენობა, მათ შორის მარცვალი, რომელთაც აშკარად აქვთ სინესტის, ასევე დაავადებების, ობის, ჩახურების, ფერმენტაციის, გაღივების და სხვა ნიშნები, ხორბლისათვის არ უნდა აღემატებოდეს 6,0%-ს;

ნ) დაზიანებული მარცვლის მაქსიმალური რაოდენობა, მათ შორის მარცვალი, რომელთაც აშკარად აქვთ სინესტის, ასევე დაავადებების, ობის, ჩახურების, ფერმენტაციის, გაღივების და სხვა ნიშნები, მაგარი ხორბლისათვის არ უნდა აღემატებოდეს 4,0%-ს;

ო) მწერებით დაზიანებული მარცვლის რაოდენობა, რომელზედაც აშკარად შეიმჩნევა ნასვრეტები, ხორბლისათვის არ უნდა აღემატებოდეს 1,5 %-ს;

პ) მწერებით დაზიანებული მარცვლის რაოდენობა, რომელზედაც აშკარად შეიმჩნევა ნასვრეტები, მაგარი ხორბლისათვის არ უნდა აღემატებოდეს 2,0 %-ს;

ჟ) გაღივებული მარცვლის შემცველობა, ხორბლისათვის და მაგარი ხორბლისათვის არ უნდა აღემატებოდეს 4 %-ს;

რ) ხორბლისათვის სედიმენტაციის ინდექსი (Zeleny -ის ინდექსი) უნდა შეადგენდეს არანაკლებ 22 მლ-ს, ან ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული წებოგვარას დეფორმაციის ინდექსს;

ს) ფუზარიოზით (Fusarium graminearum) დაზიანებული მარცვლის რაოდენობა მაგარი ხორბლისათვის არ უნდა აღემატებოდეს 1,5%-ს;

ტ) ხორბალში დაუშვებელია ფუზარიოზით (Fusarium graminearum) დაზიანებული მარცვლის შემცველობა;

უ) მინიმალური ხვედრითი წონა ხორბლისთვის უნდა შეადგენდეს 73 კგ/ჰექტოლიტრში (ანუ ნატურა უნდა შეადგენდეს 730 გ/ლიტრში);

ფ) მინიმალური ხვედრითი წონა მაგარი ხორბლისთვის უნდა შეადგენდეს 78 კგ/ჰექტოლიტრში (ანუ ნატურა უნდა შეადგენდეს 780 გ/ლიტრში);

ქ) ცილის მინიმალური შემცველობა ხორბლისათვის უნდა შეადგენდეს 11,0 %-ს;

ღ) ცილის მინიმალური შემცველობა მაგარი ხორბლისათვის უნდა შეადგენდეს 11,5%-ს;

ყ) სხვა ხარისხობრივი მახასიათებლების მქონე ხორბლის მარცვლის მაქსიმალური შემცველობა, ხორბლისათვის და მაგარი ხორბალისათვის, არ უნდა აღემატებოდეს 12%-ს;

შ) ვარდნის რიცხვი (Hagberg falling) ხორბლისათვის და მაგარი ხორბალისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 220 წმ-ს;

მუხლი 7. ჰიგიენის მოთხოვნები ბიზნესოპერატორის მიმართ

1. ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნებია:

ა) ბიზნესოპერატორი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ხორბლის და მაგარი ხორბლის წარმოებასთან, გადამუშავებასთან, ექსპორტთან და იმპორტთან ვალდებულია დაიცვას „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესით“ განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) შესაძლებელია ბიზნესოპერატორმა, გამოიყენოს ამ მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული წესისაგან განსხვავებული წესი იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის მიერ დასაბუთებული იქნება მის მიერ გამოყენებული განსხვავებული წესით ზოგადი ჰიგიენური მოთხოვნების უზრუნველყოფა.

2. ბაზარზე განთავსებამდე ხორბალი და მაგარი ხორბალი განთავსებული უნდა იქნეს ელევატორში.

3. საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლის და მაგარი ხორბლის იმპორტი დაშვებულია მხოლოდ ელევატორიდან.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, იმპორტირებულ ხორბალს თან უნდა ახლდეს იმპორტიორი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ ხორბლის და მაგარი ხორბლის იმპორტის განხორციელებამდე ხორბალი განთავსებული იყო ელევატორში.

5. გარდა ამ მუხლის პირველი, მე-2-4-ე პუნქტებით განსაზღვრული ზოგადი მოთხოვნებისა, ბიზნესოპერატორი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ხორბლის

და მაგარი ხორბლის ტრანსპორტირებასთან, ვალდებულია დაიცვას სპეციფიური მოთხოვნები:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლის და მაგარი ხორბლის შემოტანა, სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლისათვის გახსნილი საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით, დასაშვებია მხოლოდ დახურული ვაგონებით, ხორბალმზიდი ვაგონებით ან კონტეინერებით (ტანკერებით), რომელიც უზრუნველყოფს ხორბლის და მაგარი ხორბლის დაცვას მწერების, ცხოველების, მათ შორის მღრღნელების შეღწევისაგან და ტრანსპორტირების დროს დაბნევისაგან;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლის და მაგარი ხორბლის შემოტანა, საავტომობილო მიმოსვლისათვის გახსნილი საბაჟო გამშვები პუნქტების გავლით, შესაძლებელია ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებით;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, გარდა ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა, ხორბალს და მაგარ ხორბალს თან უნდა ახლდეს - შესაბამისობის სერტიფიკატი ან ინსპექტირების სერტიფიკატი ან/და ოქმი;

დ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ტრანსპორტირებისას, გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები უნდა იქნეს გაუსნებოვნებული ყოველი დატვირთვის წინა და თან უნდა ახლდეს სატრანსპორტო საშუალების დასუფთავების და გაუსნებოვნების დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული იმპორტიორი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ.

6. საქართველოს ტერიტორიაზე ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ზოგადი მოთხოვნები ხორბლის ელევატორის მიმართ განისაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის სამართლებრივი ნორმატიული აქტით.

მუხლი 8. რეგულირების ობიექტის შესაბამისობის კონტროლი

ამ ტექნიკური რეგლამენტით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ხორბლის და მაგარი ხორბლის შესაბამისობის კონტროლი ხორციელდება:

ა) სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის დროს;

ბ) სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას

გ) ბიზნესოპერატორის მიერ, შიდა საწარმოო კონტროლის დროს.

განმარტებითი ბარათი

„ხორბლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ხორბლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს „ხორბლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების დამტკიცებას. პროექტი შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად და გამოყენებულია ევროკომისიის რეგულაცია COMMISSION DELEGATED REGULATION (EU) 2016/1238 of 18 May 2016 supplementing Regulation (EU) No 1308/2013 of the European Parliament and of the Council with regard to public intervention and aid for private storage და Codex alimentarius - ის საერთაშორისო სტანდარტი Codex Standard 199-1995. STANDARD FOR WHEAT AND DURUM WHEAT.

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი ადგენს მოთხოვნებს ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის განკუთვნილი ხორბლის (Triticum aestivum L.,) სხვადასხვა ჯიშების და მაგარი ხორბლის (Triticum durum Desf.,) მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ ხორბლის და მაგარი ბაზარზე განთავსების, ექსპორტისა და იმპორტის პირობებს. ამასთან, ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება ოჯახური წარმოების სუბიექტზე, რომელიც ხორბალს ან/და მაგარ ხორბალს აწარმოებს პირადი მოხმარების მიზნით, ქონდარა/წითელმარცვალა ხორბალზე (Triticum compactum Host.,), არასასურსათო დანიშნულების ხორბალზე და წითელმარცვალა მაგარ ხორბალზე. ოჯახური წარმოების სუბიექტზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფიტოსანიტარიული კონტროლი.

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი მიზნად ისახავს ხორბლის და მაგარი ხორბლის ბაზარზე განთავსების და ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის მიმოქცევის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას და ადგენს ხორბლის და მაგარი ხორბლის ბაზარზე განთავსების პირობებს, ჰიგიენის მოთხოვნებს მწარმოებელ

ბიზნესოპერატორის მიმართ, მოთხოვნებს ხორბლის და მაგარი ხორბლის ექპორტისა და იმპორტისათვის, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლის და მაგარი ხორბლის სარკინიგზო, საზღვაო და საავტომობილო მიმოსვლისათვის გახსნილი საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით შემოტანასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტით განისაზღვრა ხორბლის და მაგარი ხორბლის ბაზარზე განთავსების პირობები, კერძოდ, ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი ხორბალი და მაგარი ხორბალი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბაზარზე განთავსებული ხორბალი და მაგარი ხორბალი ეტიკეტირებული უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

პროექტით განსაზღვრულია სპეციფიკური მოთხოვნები როგორც ხორბლის და მაგარი ხორბლის მიმართ, ასევე ბიზნესოპერატორის მიმართ, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია ხორბლის ბაზარზე განთავსებასთან. პროექტის თანახმად, ბაზარზე განთავსებამდე ხორბალი და მაგარი ხორბალი განთავსებული უნდა იქნეს ელევატორში.

პროექტით დადგენილია ხორბლისა და მაგარი ხორბლის ექსპორტისა და იმპორტის პირობები, რომლის თანახმადაც, ხორბლის და მაგარი ხორბლის გაუსნებოვნებისთვის გამოყენებული პრეპარატი უნდა იქნეს რეგისტრირებული; საქართველოდან ექსპორტირებული ხორბალი და მაგარი ხორბალი უნდა შეესაბამებოდეს ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სხვა რამ მოითხოვება მიმღები ქვეყნის მიერ. დადგენილია ასევე მოთხოვნები საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლის და მაგარი ხორბლის იმპორტისათვის, როგორც სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლისათვის გახსნილი საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით, ისე საავტომობილო მიმოსვლისათვის გახსნილი საბაჟო გამშვები პუნქტების გავლით. ამ მოთხოვნების თანახმად, იმპორტის დროს ხორბალს ან/და მაგარ ხორბალს თან უნდა ახლდეს მწარმოებელი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი - შესაბამისობის სერტიფიკატი ან ინსპექტირების სერტიფიკატი ან/და ოქმი, რითაც დადასტურებული იქნება ხორბლის ან/და მაგარი ხორბლის შესაბამისობა მწარმოებელი ქვეყნის ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციასთან; ასევე ტვირთის წარმოშობის ან გამომგზავნი ქვეყნის კომპეტენტური უწყების მიერ შევსებული და დამოწმებული – „ჯანმრთელობის სერტიფიკატი“ საქართველოში იმპორტისათვის; ამავე დროს ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისას, სავალდებულოა,

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის III ნაწილში ასახული იქნეს ტვირთის დამუშავების (ფუმიგაციის) პროცედურა. პროექტით განსაზღვრულია ასევე, რომ ხორბლის და მაგარი ხორბლის ტრანსპორტირებისას, გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები უნდა იქნეს გაუსნებოვნებული ყოველი დატვირთვის წინა და თან უნდა ახლდეს სატრანსპორტო საშუალების დასუფთავების და გაუსნებოვნების დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული ექპორტიორი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ. ამასთანავე, პროექტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლის და მაგარი ხორბლის იმპორტი დაშვებულია მხოლოდ ელევატორიდან, რომელიც სერტიფიცირებულია იმპორტიორი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ და ასევე მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, იმპორტირებულ ხორბალს თან უნდა ახლდეს იმპორტიორი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ ხორბლის და მაგარი ხორბლის იმპორტის განხორციელებამდე ხორბალი განთავსებული იყო სერტიფიცირებულ ელევატორში.

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის შესაბამისად, ამ ტექნიკური რეგლამენტით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ხორბლის შესაბამისობის კონტროლი ხორციელდება სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის დროს, სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას და ბიზნესოპერატორის მიერ, შიდა საწარმოო კონტროლის დროს.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას და გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, სახელმწიფოსთვის არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის მიღება ხელს შეუწყობს ხორბლის და მაგარი ხორბლის ბაზარზე განთავსების, ექსპორტისა და იმპორტის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

პროექტის განხორციელების ვადები

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტით რაიმე ვადა არ არის განსაზღვრული.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.